



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით

საქმე №28/4501-14

13 ოქტომბერი, 2014 წ.  
ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლო**

სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა

**თავმჯდომარე** – გოდერძი გიორგიშვილი  
**მოსამართლეები** – თინათინ ეცადაშვილი  
ირაკლი ადეიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

საჩივრის ავტორები – ვ. ლ., ბ. წ.

წარმომადგენელი - ი. ყ.

მოწინააღმდეგე მხარე - სს ბიზნესცენტრი „ს.“

დავის საგანი – სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

გასაჩივრებული განჩინება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის განჩინება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილება

**გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის განჩინებით ვ. ლ.-ს და ბ. წ.-ს უარი ეთქვათ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე.

გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, 2014 წლის 16 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს ვ. ლ.-მ და ბ. წ.-მ მოპასუხე სს ბიზნესცენტრი „ს.-ს“ მიმართ აქციონერთა 2014 წლის 28 აპრილის კრების ოქმის და სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 19 მაისის სხდომის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე. სარჩელის უზრუნველყოფის სახით კი ითხოვეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ე. ჭ.-ს, ა. გ.-ს და გ. ბ.-ს შეუჩერდეთ უფლებამოსილება, ანუ აეკრძალოთ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უფლებამოსილებების განხორციელება დავის საბოლოო დასრულებამდე კერძოდ,



სამეთვალყურეო საჭოს წევრის უფლებამოსილებებით სარგებლობა სანამ არ გადაწყდება წინამდებარე დავა. ასევე, გენერალურ დირექტორს დ. კ.-ს შეუჩერდეს უფლებამოსილება ანუ აკრძალოს გენერალური დირექტორის უფლებამოსილების განხორციელება დავის დასრულებამდე, კერძოდ შეუჩერდეს საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, რაც ნათლადაა ჩამოყალიბებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მოპასუხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სარჩელის უზრუნველყოფით უნდა მოხდეს მოცემული სარჩელის დავის საგნის დაცვა. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიერ დაყენებული სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა ემსახურება სს ბიზნესცენტრი „ს.-ს“ აქციონერთა 2014 წლის 28 აპრილის კრების ოქმის და სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 19 მაისის სხდომის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე მისაღები გადაწყვეტილების დაცვას. შესაბამისად, მხარის მიერ დაყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა მოცემულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, რის გამოც არ არსებობდა აღნიშნული უზრუნველყოფის გამოყენების აუცილებლობა.

## საჩივრის საფუძვლები

საჩივრის ავტორის მითითებით, დღეის მდგომარეობით სამეთვალყურეო საბჭო არაუფლებამოსილია და მას დამოუკიდებლად შეუძლია მიიღოს კომპანიაში გადაწყვეტილებები, მათ შორის ისეთი მნიშვნელობის, როგორცაა საზოგადოების გენერალური დირექტორის დანიშვნა, საერთო კრების მოწვევა, დირექტორის გათავისუფლება, კაპიტალდაბანდებათა შექმნა და გასხვისება, ისევე როგორც საწარმოების გასხვისება და საქმიანობის შეჩერება. საბჭოს თანხმობით ხდება უძრავი ქონების შექმნა, გასხვისება, ინვესტიციების განხორციელება და სხვა ფართო უფლებამოსილებები, რაც საწარმოსათვის ზიანის მომტანი ქმედება შეიძლება აღმოჩნდეს.

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გენერალური დირექტორის დანიშვნის შესახებ არის არაუფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, ხოლო თავად დირექტორს, რომელიც არის არაუფლებამოსილი, შეუძლია თავისი ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღოს საწარმოსათვის დამაზიანებელი გადაწყვეტილება.



## პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნები საჩივრთან დაკავშირებით

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით ვ. ლ.-ს და ბ. წ.-ს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივნისის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდა დაუსაბუთებლობის გამო და საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ სარჩელის უზრუნველყოფით უნდა მოხდეს მოცემული სარჩელის დავის საგნის დაცვა. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიერ დაყენებული სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნა ემსახურება სს ბიზნესცენტრი „ს.-ს“ აქციონერთა 2014 წლის 28 აპრილის კრების ოქმის და სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 19 მაისის სხდომის ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე მისაღები გადაწყვეტილების დაცვას. შესაბამისად, მხარის მიერ დაყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა მოცემულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

## საჩივრის ხელახლა განსახილველად დაბრუნების დასაბუთება

სააპელაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საჩივარი ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხზე მიღებულ განჩინებასთან დაკავშირებულ საჩივარს წარმოებაში იღებს შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული წესების თანახმად. თუ სასამართლო საჩივარს დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, იგი აკმაყოფილებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი საქმის მასალებთან ერთად სასამართლო განჩინების საფუძველზე გაეგზავნება ზემდგომ სასამართლოს განჩინების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

მითითებული ნორმის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხზე გამოტანილ განჩინებაზე შეტანილ საჩივარს ჯერ იხილავს ამ განჩინების გამომტანი სასამართლო, რომელიც უწინარესად ამოწმებს საჩივრის დასაშვებობას, ხოლო შემდეგ მსჯელობს მის დასაბუთებულობაზე.

მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლომ ისე გადმოაგზავნა ვ. ლ.-ს და ბ. წ.-ს საჩივარი სააპელაციო სასამართლოში, რომ სრულყოფილად არ უმსჯელია მის დასაბუთებულობაზე და პასუხი არ გაუცია საჩივრის არგუმენტებზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გასაჩივრებული განჩინებით საჩივრის ავტორებს უარი ეთქვათ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე იმ საფუძველით, რომ მათ მიერ დაყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა ვერანაირ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა მოცემულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას. პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ დასკვნას პალატა არ ეთანხმება, რადგან იგი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრულ აღიარებითი



სარჩელის არსთან და დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკასთან, რომლის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია, როგორც მიკუთვნებით, ისე აღიარებითი სარჩელის განხილვის დროსაც.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, როცა საუბარია აღიარებითი სარჩელის უზრუნველყოფაზე, ასეთ სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის საფრთხე უნდა შეფასდეს არა ფორმალურად, მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნით, არამედ იმ იურიდიული ინტერესის გათვალისწინებით, რომელიც გააჩნია მოსარჩელეს და რომლის გარეშეც აღიარებითი სარჩელის წარმოებაში მიღება დაუშვებელია.

მოცემულ საქმეზე მოსარჩელები ითხოვენ სს ბიზნესცენტრი „ს-ს“ აქციონერთა 2014 წლის 28 აპრილის კრების ოქმის და სამეთვალყურეო საბჭოს 2014 წლის 19 მაისის სხდომის ოქმის ბათილად ცნობის. ხოლო, ამ აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ინტერესად მიუთითებენ იმ ზიანის აღკვეთაზე, რაც შეიძლება მოჰყვეს, მათი მოსაზრებით, კანონდარღვევით ჩატარებულ ამ კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ამ გარემოების გათვალისწინებით, მოცემულ დავაზე სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის იურიდიული ინტერესი, რაც მოსარჩელებს გააჩნიათ (ანუ შედეგი, რისი მიღწევაც მათ სურთ).

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივლისის განჩინება ვ. ლ.-ს და ბ. წ.-ს საჩივრის დაუსაბუთებლად მიჩნევისა და მისი სააპელაციო სასამართლოსათვის გადმოგზავნის შესახებ არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, მასში არ არის აღნიშნული მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომლითაც სასამართლომ იხელმძღვანელა.

პალატა მიუთითებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული „სამართლიანი სასამართლოს უფლება“ გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია.

სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ ისე გააკეთა დასკვნა საჩივრის დაუსაბუთებლობის შესახებ, რომ არ იმსჯელა მის არუგემენტებზე, შესაბამისად, ეს განჩინება არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი კუთხით სათანადოდ არ არის დასაბუთებული.



საჩივრის ხელახალი განხილვისას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი დასკვნა საჩივრის დაუსაბუთებლობის შესახებ, რა დროსაც არგუმენტირებულად უნდა უპასუხოს საჩივრის ავტორის პრეტენზიებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საჩივარი სარჩელის უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებით მიღებულ განჩინებაზე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში განიხილება ამ კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით დადგენილი წესით.

ამავე კოდექსის 419-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომ სასამართლოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 197<sup>1</sup>-ე, 285-ე, 390-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით მუხლებით და

### და ა დ გ ი ნ ა:

1. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 ივლისის განჩინება და საქმე, ვ. ლ.-ს და ბ. წ.-ს საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების სტადიიდან, ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

2. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

გ. გიორგიშვილი

მოსამართლეები

თ. ეცადაშვილი

ი. ადეიშვილი